განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 17.05.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **ევროპის უნივერსიტეტი** - კერძო სამართლის იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201954956 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ინფორმატიკა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ინფორმატიკის ბაკალავრი (0401) |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მანანა ხაჩიძე - ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანი არაბული - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ ბოსიკაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | კესი კაციტაძე - ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სან დიეგოს სახელმწიფუო უნივერსიტეტის ამერიკული პროგრამა |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

2019 წლის 18 მარტს დაწესებულებამ რეაკრედიტაციის მიზნით წარმოადგინა „პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის" საბაკალავრო პროგრამა შეცვლილი სახელწოდებით „ინფორმატიკა", მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ინფორმატიკის" ბაკალავრი. მიმდინარე წლის სააკრედიტაციო წარმოების პროცეში გამოვლინდა 2014 წელს დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, 2014 წლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ნაცვლად „ინფორმატიკისა" შეცდომით იყო აღნიშნული „ინჟინერიის" ბაკალავრის მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

2019 წლის 11 ივნისის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განიხილა „2014 წლის 25 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N19 სხდომის ოქმში მოცემული *"შპს-ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის" მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაზუსტების საკითხი"*, კერძოდ ტექნიკური შესწორების შესახებ, რომელიც დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

2019 წელს სააკრედიტაციო განაცხადით წარმოდგენილ „ინფორმატიკის" საბაკალავრო პროგრამაში, 2014 წლიდან განხორციელების პროცესში გამოკვეთილის საკითხების გათვალისწინებით , ასახულია შინაარსობრივი ცვლილებები, შეიცვალა პროგრამის მიზნები და შედეგები, შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია. განაცხადის მიხედვით მიზნები და შედეგები ჩამოყალიბდა ABET ორგანიზაციის კრიტერიუმების შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამა განახლებული სახელწოდებით „ინფორმატიკა" აკრედიტაციის მიზნებისათვის წარდგენილია შემდეგი ფორმით: საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს.

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: სავალდებულო კომპონენტი - 193 კრედიტი (საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 39 კრედიტი, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 134 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 15 კრედიტი, პრაქტიკა - 5 კრედიტი) და არჩევითი კომპონენტი - 47 კრედიტი (სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 18 კრედიტი, პროგრამის თავისუფალი კრედიტები - 29 კრედიტი).

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციაა ინფორმატიკის ბაკალავრი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შეირჩა ამავე დარგის სამი პროფესორი და ერთი სტუდენტი, რომელთა უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 15 მაისს. ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს დეკანთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უსდ შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **პირველ სტანდარტს,** მას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და მათთან ლოგიკურად დაკავშირებული სწავლის შედეგები. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამისთვის შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასებისა და მათი ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესების მეთოდოლოგია.

თვითშეფასების ავტორები პროგრამის ძლიარ მხარედ აღნიშნავენ, რომ პროგრამის მიზანი და შედეგი შემუშავებულია ABET-ის (Accreditation Board for Engineering and Technology) სტანდარტების გათვალისწინებით, რაც არ არის მოცემული პროგრამაში.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (აქაც აპელირება ABET-ზე, რაც არაზუსტია) და თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ შეფასება ხორციელდება ამ მეთოდით. თვითშეფასების შემუშავების ჯგუფთან გასაუბრებისას კი აღინიშნა - დანერგვა დაგეგმილია სამომავლოდ.

წარმოდგენილი შეფასების შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება ახალ მეთოდოლოგიას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი უმეტესად არ არის გაცნობილი უსდ-ს მიერ შეთავაზებულ კრიტერიუმებს. კურსებში წარმოდგენილი შედეგები რთული გაზომვადია.

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **მეორე სტანდარტს,** ვინაიდან პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისი სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა პროგრამის სტრუქტურასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებობს გარკვეული ხარვეზები, რაც გამოსწორებადია. პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის მიღწევისთვის საჭირო ძირითადი რეკომენდაციები

- დასახვეწია სტრუქტურაში რიგი საგნების თანმიმვდევრობა და წინაპირობები:
- დარგობრივი საგნების არჩევითობა მცირედაა წარმოდგენილი.
- საგანთა უმრავლესობაში სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, მაგრამ რიგ შემთხვევაში მეთოდები ჭარბი და არა ლოგიკურია და ტოვებს უნიფიცირების შთაბეთდილებას.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მესამე სტანდარტს,** ვინაიდან პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებას სათანადო საკითხებში, ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეოთხე სტანდარტს,** ვინაიდან პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და სტაბილურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეხუთე სტანდარტს,** ვინაიდან სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის მექანიზმებს, მასში დაგეგმილია პერიოდული მონიტორინგი და პროგრამის შეფასება, ისევე როგორც შეგროვებული რელევანტური ანალიზის საფუძველზე შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები.

**რეკომენდაციები**

- ✓ სასწავლო კურსებში წარმოდგენილი რთულად გაზომვადი შედეგები ჩანაცვლდეს ადექვატური გაზომვადი აღწერით;
- ✓ მკვეთრად განისაზღვროს შეფასების გაზომვადი მაჩვენებლების ზღვრული მნიშვნელობები (რომელი მაჩვენებლის რა მნიშვნელობის მიღწევისას არის აუცილებელი კონკრეტული ქმედების განხორციელება);

- ✓ გადაიხეოს საგნების სილაბუსები და მოხდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
  - საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა" შეიცვალოს შინაარსობრივად (ამ შემთხვევაში საგანი უნდა გადანაცვლდეს მომდევნო სემესტრებში და შესაბამისად დაედოს წინაპირობა) ან შეიცვალოს დასახელება შინაარსის შესაბამისად (მაგ. „კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფა");
  - საგანისთვის „ოპერაციული სისტემები" წინაპირობა წარმოდგენილი სახით თუ დარჩება საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა" უნდა შეიცვალოს შინაარსობრივად;
  - საგანს „ინფორმაციული უსაფრთხოება" წინაპირობად უნდა დაედოს ორი საგანი: 1. „კომპიუტერული ქსელები", 2. „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები";
  - საგანს „კომპიუტერული ქსელები" დაემატოს წინაპირობად საგანი „ოპერაციული სისტემები".
- ✓ გაიზარდოს დარგობრივი არჩევითი საგნების მოცულობა და მრავალფეროვნება;
- ✓ დაემატოს საბუნებისმეტყველო საგნები;
- ✓ გაიზარდოს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაწილეობა;
- ✓ მოწვეული პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი არ იცნობენ პროგრამის განვითარებისათვის დაგეგმილ ცვლილებებს და რიგ მეთოდოლოგიას, რომლის გამოყენებასაც გეგმავს უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შესაფასებლად. ამიტომ აუცილებელია გაიზარდოს მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამის დაგეგმვაში პროგრამის შემმუშავებელ კომიტეტში, მრჩევალთა საბჭოს შემადგენლობაში ან/და სხვადასხვა ტრენინგებში ჩართვის გზით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სწავლის შედეგების შეფასების ახალი მეთოდოლოგია დეტალურად იქნას განმარტებული პროგრამაში ჩართული ყოველი პედაგოგისათვის. ჩატარდეს შესაბამისი ტრენინგი მის დასანერგად;
- ✓ სასწავლო კურსების შინაარსის გასაძლიერებლად გაითვალისწინოს საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციის ACM (Associacion Computing Machinery) რეკომენდაციები კურიკულუმის შემუშავებასთან მიმართებაში (https://www.acm.org/education/curricula-recommendations)

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს გამოუშვას კურსდამთავრებული, რომელიც:<br>○ არის პროფესიონალი ინფორმატიკის დარგში; აწარმოებს კვლევებს, აგებს, ავითარებს ან ახორციელებს ინფორმატიკის პროფილის პროექტებს სხვადასხვა სფეროში;<br>○ თავისი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას აცნობიერებს ინფორმატიკის სფეროში არსებულ ეთიკურ და სოციალურ ასპექტებს;<br>○ დამოუკიდებლად აგრძელებს ინფორმატიკის დარგის ახალი ტექნოლოგიების ათვისებას ან იღებს განათლებას სწავლების შემდგომ საფეხურზე.<br><br>პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, წარმოდგენილ კურიკულუმში ასახული დარგობრივი საგნების მიზნების გათვალისწინებით მიღწევადია. პროგრამის კურსდამთავრებული შეძენილი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების საფუძველზე შეძლებენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის შედეგები წარმოდგენილია ექვსი მიმართულების დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები) მიხედვით. ეს შედეგებია:

- ○ სტუდენტმა იცის ინფორმატიკის თეორიული საფუძვლები და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება / განვითარებისთვის საჭირო ტექნოლოგიები;
- ○ სტუდენტი აცნობიერებს ინფორმატიკის და სხვა მონათესავე დისციპლინების ძირითადი კონცეფციების გამოყენების მნიშვნელობას პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პროცესში;
- ○ სტუდენტს შეუძლია კომპლექსური, გამოთვლებზე დაფუძნებული ამოცანების დაპროექტება და განხორციელება შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ○ სტუდენტს შეუძლია კომპლექსური, გამოთვლითი ამოცანის ანალიზი. ინფორმატიკისა და სათანადო საგნობრივი არეების პრინციპების გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასება დასმული ამოცანის გადაწყვეტის გზის განსაზღვრი-სთვის;
- ○ სტუდენტს შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე; შეუძლია პროგრამის დისციპლინების ფარგლებში ჯგუფში ეფექტური ჩართულობა;

- სტუდენტს შეუძლია ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; დამოუკიდებლად შეუძლია საბაზისო ცოდნის მიღება იმ საგნობრივ არეში რასაც ემღვენება პროგრამული უზრუნველყოფა;
- სტუდენტს აქვს ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული პროფესიული პასუხისმგებლობა ინფორმატიკის დარგში.

წარმოდგენილ პროგრამაში წარმოდგენილი საგნების შედეგებში ძირითადად აღწერილია ის ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას.

თვითშეფასების ავტორები პროგრამის ძლიერ მხარედ აღნიშნავენ, რომ პროგრამის მიზანი და შედეგი შემუშავებულია ABET-ის (Accreditation Board for Engineering and Technology) სტანდარტების გათვალისწინებით, რაც არ ასახავს რეალობას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (აქაც აპელირება ABET-ზე, რაც არაზუსტია) და თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ შეფასება ხორციელდება ამ მეთოდით. თვითშეფასების შემუშავების ჯგუფთან გასაუბრებისას კი აღინიშნა - დანერგვა დაგეგმილია სამომავლოდ.

წარმოდგენილი შეფასების შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება ახალ მეთოდოლოგიას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი უმეტესად არ არის გაცნობილი უსდ-ს მიერ შეთავაზებულ კრიტერიუმებს. კურსებში წარმოდგენილი შედეგები რთული გაზომვადია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა;
- ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან

**რეკომენდაციები:**

- ✓ სასწავლო კურსებში წარმოდგენილი რთულად გაზომვადი შედეგები ჩანაცვლდეს ადექვატური გაზომვადი აღწერით.
- ✓ მკვეთრად განისაზღვროს შეფასების გაზომვადი მაჩვენებლების ზღვრული მნიშვნელობები (რომელი მაჩვენებლის რა მნიშვნელობის მიღწევისას არის აუცილებელი კონკრეტული ქმედების განხორციელება).

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სწავლის შედეგების შეფასების ახალი მეთოდოლოგია დეტალურად იქნას განმარტებული პროგრამაში ჩართული ყოველი პედაგოგისათვის. ჩატარდეს შესაბამისი ტრენინგი მის დასანერგად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:<br>• სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.<br>• პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა, არჩევითი მეოთხე საგანი: მათემატიკა ან ფიზიკა.<br>• ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი -კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.<br><br>პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ:<br>• უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;<br>• საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;<br>• უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.<br>• საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.<br>,,ა“, ,,ბ“ და ,,გ“ პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან გაიარონ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გასაუბრება პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით. „დ“ პუნქტით გათვალისწინებული პირები ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.<br><br>პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:<br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ-ით (4.02.2010) დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ევროპის უნივეტისტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 1 ოქტომბრის #87 ბრძანებით) შესაბამისად, რომელიც მოიცავს 240 კრედიტს, აქედან:

<u>სავალდებულო კომპონენტები 193 კრედიტი</u>

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები 39 კრედიტი
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 134 კრედიტი
- პრაქტიკა 5 კრედიტი
- საბაკალავრო ნაშრომი 15 კრედიტი

<u>არჩევითი კომპონენტი 47 კრედიტი</u>

- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 18 კრედიტი
- პროგრამის თავისუფალი კრედიტები 29 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და ძირითად სწავლის შედეგებს. თუმცა დასახვეწია სტრუქტურაში რიგი საგნების თანმიმდევრობა და წინაპირობები:

- საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“ უნდა შეიცვალოს შინაარსი (ამ შემთხვევაშ საგანი უნდა გადანაცვლდეს მომდევნო სემესტრებში და შესაბამისად დაედოს წინაპირობა) ან შეიცვალოს დასახელება შინაარსის შესაბამისად (მაგ. „კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფა“);
- საგანი „ოპერაციული სისტემები“ - წინაპირობა წარმოდგენილი სახით თუ დარჩება საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“ უნდა ჩანაცვლდეს;
- საგანი „ინფორმაციული უსაფრთხოება“ - წინაპირობა უნდა იყოს „კომპიუტერული ქსელები“ და „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“;
- საგანი „კომპიუტერული ქსელები“ - დაემატოს წინაპირობა „ოპერაციული სისტემები“.

დარგობრივი საგნების არჩევითობა მცირედაა წარმოდგენილი.

„დაპროგრამება არდუინოს პლატფორმაზე“ საგნის შესწავლისათვის აუცილებელია ფიზიკის ცოდნა, რაც უნდა აისახოს შესაბამისი საგნით პროგრამაში. გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ უნივერსიტეტის განაცხადს სამომავლოდ ABET აკრედიტაციის მიღებაზე საბუნებისმეტყველო საგნების ჩასმა სავალდებულოა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპის უნივეტისტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები;
- ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა;
- ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #5 - სასწავლო გეგმა;
- სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

✓ გადაიხეოს საგნების სილაბუსები და მოხდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

  - საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“ შეიცვალოს შინაარსობრივად (ამ შემთხვევაში საგანი უნდა გადანაცვლდეს მომდევნო სემესტრებში და შესაბამისად დაედოს წინაპირობა) ან შეიცვალოს დასახელება შინაარსის შესაბამისად (მაგ. „კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფა“);
  - საგანისთვის „ოპერაციული სისტემები“ წინაპირობა წარმოდგენილი სახით თუ დარჩება საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“ უნდა შეიცვალოს შინაარსობრივად;
  - საგანს „ინფორმაციული უსაფრთხოება“ წინაპირობად უნდა დაედოს ორი საგანი: 1. „კომპიუტერული ქსელები“, 2. „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“;

- ○ საგანს „კომპიუტერული ქსელები“ დაემატოს წინაპირობად საგანი „ოპერაციული სისტემები“.

✓ გაიზარდოს დარგობრივი არჩევითი საგნების მოცულობა და მრავალფეროვნება;
✓ დაემატოს საბუნებისმეტყველო საგნები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასწავლო კურსების შინაარსის გასაძლიერებლად გაითვალისწინოს საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციის ACM (Associacion Computing Machinery) რეკომენდაციები კურიკულუმის შემუშავებასთან მიმართებაში (https://www.acm.org/education/curricula-recommendations)

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსების უმეტესობის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ასევე სასწავლო კურსების უმრავლესობის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| სასწავლო კურსების სასწავლო მასალა არის უახლესი და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.<br>მაგრამ რამოდენიმე საგანში აუცილებელი ცვლილებების განხორციელება:<br>• პროგრამაში წარმოდგენილია ორი საგანი „კომპიუტერული უნარები 1“ და „კომპიუტერული უნარები 2“ (სულ 10 კრედიტი), რომლებიც ძირითადად მოიცავენ საოფისე პროგრამების გამოყენებას, და ფარავენ საკითხებს სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამიდან. შესაბამისად, უნდა მოხდეს ასეთი საკითხების ამოღება და შინაარსით უმაღლესი განათლების შესაბამისი საკითხებით ჩანაცვლება ორის ნაცვლად ერთი საგნის (არაუმეტეს 5 კრედიტი) ფარგლებში.<br>• სასწავლო კურსი „ინფორმაციული უსაფრთხოება“-ში მოცემული საკითხები აღნიშნულ კურსში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ოპერაციული სისტემების და ქსელების თავდაცვისთვის გამოყენებული პროგრამული და აპარატურული საშუალებების გამართვა; ღრუბლოვანი სისტემების უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოების საკითხები. კრიპტოლოგიურ ნაწილში კი აუცილებელია ისწავლებოდეს სიმეტრიული და ასიმეტრიული ალგორითმები, ციფრული ხელმოწერის პრინციპები და სერტიფიკატები.<br>• საგანში "კომპიუტერული ქსელები" უნდა დაემატოს მარშუტიზაციის საფუძვლების შესაბამისი საკითხები.<br>• ვებ დიზაინის საფუძვლები - სასურველია ლაბორატორიულ მეცადინეობებზე განხილული იყოს კონტენტ მენეჯმენტის სისტემები (cms) - მაგალითად Wordpress, Jumla ან სხვა.<br>• საგანს „კომპიუტერის არქიტექტურა“ უნდა შეიცვალოს შინაარსი ან შეიცვალოს დასახელება შინაარსის შესაბამისად (მაგ. „კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფა“); |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;<br>○ სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ გადაიხეოს ზემოთ მითითებული საგნების სილაბუსები; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასწავლო კურსების შინაარსის გასაძლიერებლად გაითვალისწინოს საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციის ACM (Associacion Computing Machinery) რეკომენდაციები კურიკულუმის შემუშავებასთან მიმართებაში ([https://www.acm.org/education/curricula-recommendations](https://www.acm.org/education/curricula-recommendations)) |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას ძირითადად უზრუნველყოფენ სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები.

ასევე, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით „ინფორმატიკის" საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს (საწარმოო პრაქტიკა) და საბაკალავრო ნაშრომის შექმნას და დაცვას, რომელიც ემსახურება „ინფორმატიკის" საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტის პრაქტიკული უნარებისა და საბაზისო დონეზე კვლევითი უნარების განვითარებას. საბაკალავრო ნაშრომის ნახვა ვერ მოხერხდა კურსდამთავრებულის არ არსებობის გამო.

უნივერიტეტი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვას. ამ მიმართულებით ყოველწლიურად იმართება საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- პრაქტიკის სილაბუსი;
- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- სტუდენტთა კლასგარეშე აქტივობის ანგარიში.

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო პროგრამის აღწერაში დანართის სახით (დანართი 3) აღწერილია 20-ზე მეტი სწავლება-სწავლის მეთოდი. ამ დანართსა და თვითშეფასებაში წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც მიუთითებს თუ რომელი მეთოდი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას კონკრეტული ხარისხით (მაღალი, საშუალო, დაბალი). გაურკვეველია ამ ცხრილის შემუშავების მიზანი და მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც მოხდა შეფასება. |

| |
|---|
| თვითშეფასებაში აღნიშნულია რომ „სავალდებულოა და პროგრამის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა, რომ კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში სათანადო დოზით მოხდეს სწავლების იმ მეთოდების გამოყენება, რომლითაც მაღალი ხარისხითაა შესაძლებელი პროგრამისთვის მნიშვნელოვანი სწავლის შედეგების მიღწევა“. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ პედაგოგი თავისუფალი არაა თვითონ განსაზღვროს სწავლის მეთოდი თავისი საგნისთვის. ამასთან სასწავლო კურსების სილაბუსებში (ყველა საგნის სილაბუსში ერთად ჯამურად) არ იფარება ყველა ეს მეთოდი. აქედან გამომდინარე გაურკვეველია რა მიზანს ემსახურება დანართის სახით (დანართი 3) წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდების აღწერა და მათი დაკავშირება სწავლის შედეგებთან.<br><br>თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ პედაგოგები ამ მითითებებს და მეთოდოლოგიას არ იცნობენ.<br><br>საგანთა უმრავლესობაში სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, მაგრამ რიგ შემთხვევაში მეთოდები ჭარბი და არალოგიკურია და ტოვებს უნიფიცირების შთაბეთდილებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასება<br>○ საბაკალვრო პროგრამა<br>○ სილაბუსები<br>○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>✓ მოხდეს პედაგოგების ინფორმირება უნივერსიტეტის მიერ დანერგილი (თუ დასანერგი) სწავლება-სწავლის მეთოდების შესახებ;<br>✓ პედაგოგს უნდა მიეცეს თავისუფლება შეარჩიოს სწავლის მეთოდები . |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>თვითშეფასების მიერ |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
